სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 4 (4579) ● 13 მარტი ● 2019 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

ხე ნაყოფითა საცნაურ არს

გიორგი ლიჩელი: „ეროვნულ ნიადაგზე პიროვნებებად აღვზარდოთ!“

აღზრდის, განათლების პრობლემა მარადჟამს აქტუალურია. მას ყავლი არ გასდის. ოღონდ, დროის შესატყვისად იცვლება მისი ხერხები და მეთოდები, არსი კი იგივე რჩება – სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, მცოდნე, სამშობლოს მოყვარული თაობების აღზრდა. ეს კი ურთულესი და უსათუთესი რამაა. ამიტომაა დასანახი და დასაფასებელი განათლების დარგის ყოველი პროფესიონალი, მოწოდებით პედაგოგი. მათს მხრებზე დგას ზემოთ მოხმობილი სწორედ რომ ხელი-ხელსაგოგმანებელი მისია.

თბილისის 129-ე საჯარო სკოლაში ეს კარგად უწყიან. პედაგოგთა შემოქმედებითი კოლექტივი განუხრელად ეძიებს და ჰპოვებს კიდეც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ახალ-ახალი მიგნებებით შევსების გზებსა და საშუალებებს; მოსწავლეთა ინდივიდუალობების გათვალისწინებით ნერგავს სიახლეებს, რაც აქაურ მასწავლებელთა ხელწერაა. სწორედ ეს გახლავთ პროგრესი.

მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი პროფესიული განვითარების სქემაში. ადმინისტრაცია ყოველმხრივ უწყობს ხელს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

დავაკონკრეტოთ: 56 პედაგოგიდან ნახევარზე მეტი – 36 უფროსი მასწავლებელია, რაც ზემოთქმულის უცილობელი დასტურია, მაგრამ, ილიასეული თერგისა არ იყოს, მოძრაობა, ანუ მუდმივი წინსვლაა ახლ-ახალი მიღწევების განმაპიროვნებელი და ორმა უფროსმა მასწავლებელმა უკვე წარმატებით გაიარა გარე დაკვირვება და სექტემბრიდან წამყვანი, პედაგოგების ხარისხით განაგრძნობენ მუშაობას. კიდევ ერთი უფროსი მასწავლებელი მოკლე ხანში გაივლის გარე დაკვირვებას.

გეგმაზომიერად მიზანმიმართულად და ურთიერთშეთანხმებულად მუშაობს დაწყებითი კლასების (ხელმძღვანელი – **ია ღლონტი**), ქართული ენისა და ლიტერატურის (**ნინო ხუციშვილი**), უცხო ენების (**მარინა ქარჩავა**), საბუნებისმეტყველო (**ლელა ღლონტი**), საზოგადოებრივ მეცნიერებათა (**თამარ ცალუღელაშვილი**), მათემატიკის (**ირმა მახათაძე**), ესთეტიკისა და სპორტის (**ნანა ლაცაბიძე**) კათედრები. მათი მუშაობა ყველა პედაგოგს მოიცავს. შემუშავდა და ხორციელდება საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები. სახელდობრ: საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნების სწავლების კოორდინირება; ინტეგრირებული და თავისუფალი გაკვეთილების ჩატარება; პედაგოგთა პროფესიონალური სრულყოფის გზების დასახვა; წარმატებების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა.

გამორჩეულად წარმატებულია დაწყებითების

კათედრა. რაოდენ რთულია განსხვავებული ხასიათის, შესაძლებლობების პატარების დაინტერესება, დისციპლინისათვის მიჩვევა, სწავლების ისე წარმართვა, რომ ყმაწვილებმა ხალისიანად, ლამის თამაშ-თამაშ შეიყვარონ სწავლა. ამას მრავალი, სწორედ ბავშვების ასაკობრივ თავისებურებებზე, ინტერესებსა და მისწრაფებებზე ზედმიწევნით გათვლილი საგანმანათლებლო ღონისძიებები დაურთეთ, რაშიც მშობლებიც აქტიურად არიან ჩართულნი, რაც თავიდანვე აახლოებს სკოლასა და მშობლებს, შვილებთან ურთიერთობასაც უწყობს ხელს და დარწმუნდებით, რომ 129-ე სკოლაში თავიდანვე სწორ, ჯანსაღ კალაპოტში წარიმართება ყმაწვილების სწავლა-აღზრდა. ეს კი ნაყოფიერ ნიადაგს უმზადებს მომდევნო კლასების პედაგოგებს მოსწავლეებთან და მშობლებთან ასევე წარმატებული მუშაობისათვის.

ასეთი შემოქმედებით, ყოველდღიური შემართული შრომის ლოგიკური შედეგი: სკოლა რეგიონში საუკეთესოთა ოცეულშია „**კინგსის**“ ოლიმპიადაში მოსწავლეთა რაოდენობით, ვინც დიპლომები დაიმსახურა მათემატიკასა და ინგლისურში და – ათეულში ინგლისური ენის ოლიმპიადის ფინალისტთა რაოდენობით.

→ გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

იოსებ ნონეშვილი

დედა

დედავ - სიცოცხლის დიდო საწყისო,
დედავ - ცხოვრების ბურჯო მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.

ჩემს აკვანს ფერად ღილკილებიანს
შენ დამღეროდი „ნანას“, „მზე შინას“,
რამდენი ღამე არ გძინებია,
რომ ჩემთვის ძილი გესწავლებინა.

შენ ჩემი ხელი ხელში გეჭირა,
არ მშორდებოდი წუთით, საათით,
რომ სიარული გესწავლებინა
შენც დადიოდი ჩემთან ტაატით.

მე შენი წმინდა შუქი მეფინა,
შენსკენ მოვრბოდი ხელებგაშლილი,
რომ ლაპარაკი გესწავლებინა,
შენც ტიტინებდი ჩემთან ბალღივით.

დედავ, ვიყავით თითქოს ტოლები,
თითქოს ფიქრები გვქონდა საერთო,
შენც ჩემს გაკვეთილს იმეორებდი,
რომ ჩემში ცოდნის შუქი აგენთო.

თურმე რამდენჯერ ავად გავმხდარვარ,
რამდენჯერ სენმა ხელი დამრია,
დედავ, იმდენჯერ ბღუჯა ჭაღარა,
თმებში ჭაღარა შემოგპარვია.

როცა მაცნობდი წარსულს დარდიანს,
შენს ხმაში კრთოდა სევდა ფარული,
შენ შემაყვარე, დედავ, ნამდვილად
ჩემი ქვეყანა, ჩემი მამული.

ახლაც შენა ხარ ჩემი კანდელი,
სიცოცხლის დიდი გასხივოსნება,
შენ შემაყვარე დღე დღევანდელი,
ხვალინდელ დღეზე ტკბილი ოცნება.

შენ დამილოცე ქვეყნად კაცობა,
თავზე ნამუსის ქუდი დამხურე,
სულ შენ გეკუთვნის თუ რამ მადლობა
და სიყვარული დავიმსახურე.

დედავ - სიცოცხლის ტკბილო საწყისო,
დედავ - ცხოვრების დვრიტავ მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.

„მაგრამ მარტო წვრთა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“

(პოემა „გამზრდელის“ სწავლებისთვის)

პოემა „გამზრდელის“ დასაწყისშივე ყურადღებას იქცევს ბათუს საცხოვრებელი ფაცხის სიმაღლე, რომელიც „ცის მახლობლად“ მდებარეობს და ძნელად მისასვლელი ვიწრო ბილიკით სამოთხემდე რთულად გასავლელი გზის ასოციაციას ქმნის. ამ ფაცხის მკვიდრთა (ბათუსა და ნაზიბროლას) ურთიერთსიყვარულს „უხმო აღსარებას“ უწოდებს აკაკი წერეთელი და ამით ნიკოლოზ ბარათაშვილს ეხმიანება „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!“ (ქართველი მწერლები სკოლაში, აკაკი წერეთელი, I ნაწილი, გვ. 305).

როგორც ბევრი მწერლის შემოქმედებაში, ამ პოემაშიც ხაზგასმულია წუთისოფლის მუხანათობა - თაფლში გარეული ნაღველი. ბათუს კაცთმოყვარეობა და ვაჟკაცობა ლამაზად იკვეთება. თავიდანვე ზრუნავს სტუმარზე, რომელიც არც კი უნახავს და წარმოდგენა არა აქვს ვინ არის (განსხვავებით განდეგილისგან), ხოლო, როდესაც ამოიცნობს მისულს, ძმასავით მიეალერსება და, უფრო მეტიც, საკუთარ თავზე იღებს იმ ცოდვას, საფარ-ბეგს რომ ჩაუფიქრებია, ძიძიშვილს, რომელიც ეშმაკზე უარესია, რადგან, როგორც ავტორი გვეუბნება, თვით ეშმაკიც კი არ გავა გარეთ ასეთი წარღვნის დროს.

საფარ-ბეგმა მშვენივრად იცის, რომ ქურდობა თავმომწონე კაცმა არ უნდა იკადროს, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიული ცოდნაა.

ბათუ ძიძიშვილობის სიყვარულის სახელით განსაცდელსა და სიკვდილს მისაღებად თვლის.

სამაგიეროდ, საფარ-ბეგი სჩადის გამოუსწორებელ დანაშაულს, ხელყოფს ბათუს მეუღლეს და თავდაპირველად არც ნანობს, ფიქრობს:

„ჩემს საქციელს სამარცხვინოს ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?“

ძალიან მნიშვნელოვანია საფარ-ბეგის შემდგომი მცდელობა, რომ დანაშაულის ლაქა ჩამოირეცხოს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საფარი არის „ბეგი“, ანუ თავადიშვილი, და ამ ორ ფენას შორის თითქმის წარმოუდგენელია, რომ მაღალი ფენის წარმომადგენელმა დაბალი ფენის, გლეხის, წინაშე მოინანიოს ცოდვა, ითხოვოს პატიება ან სასჯელი. როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, ადამიანისთვის ცოდვა არის მეტად ტკბილი, ხოლო ამ ცოდვის გააზრება - ძალიან მწარე. სწორედ ამიტომ აღიარებს შეცოდებას საფარ-ბეგი და ბათუს ეტყვის:

„სასიკვდილოდ ჩემი ნებით შენ წინ თავი დამიხრია“ .

სინდისის გასამთელებლად სიკვდილს ითხოვს, მაგრამ ბათუ „სჯულზე უფრო უმტკიცესად“ ძიძიშვილობას თვლის, სწორედ ამიტომ არ კლავს ეშმაკისგან შეპყრობილ საფარს, ყაბარდოში გამზრდელთან წასვლას ავალებს აღსარების სათქმელად. ფიქრობს, სიცოცხლით უფრო დაიტანჯება, სიკვდილი შვება იქნება მისთვის. არც თვითონ არის უკეთეს მდგომარეობაში; ძიძიშვილთან დაშორების შემდეგ ბათუმ გზა ფაცხამდე **„ძლივს ბარბაცით აიარა.“**

საფარ-ბეგის გულწრფელობაში, მონანიების თვალსაზრისით, ალბათ ეჭვს ვეღარ შევიტანთ, რადგან შეასრულა ძიძიშვილის მითითება; აღსარების სათქმელად ინახულა ჭკუითა და გონებით განთქმული ჰაჯი-უსუბი (ჰაჯი მექას მომლოცავს, შავი ქვის თაყვანისმცემელს ნიშნავს). https://ka.wikipedia.org/wiki/HYPERLINK “https://ka.wikipedia.org/wiki/ჰაჯი“.

„სადაც კაი გვარიშვილი,
ყველა მისი გაზრდილია“

უამრავი პიროვნების გამზრდელი რომ არის ჰაჯი-უსუბი (და მათ შორის საფარ-ბეგისაც) ავტორი ხაზგასმით გვამცნობს. სწორედ აქ იჩენს თავს ბუნების დანაშაული, ანუ გენეტიკა

„საფარ-ბეგიც მან გაზარდა
ისე, როგორც სხვები ყველა,
მაგრამ მარტო წვრთა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა?“

გამზრდელს რომ საფარ-ბეგი მოეკლა, ეს არა მარტო შვება იქნებოდა მონანიე კაცისთვის, არამედ სამაგიეროს გადახდა, ერთ დანაშაულს მეორე დაემატებოდა, მაგრამ ჰაჯი-უსუბი ცოცხალს ტოვებს დამნაშავეს (ისევე როგორც ბათუ), რაც უდიდესი სასჯელია საფარ-ბეგისთვის.

„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ!?
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!“

- ეუბნება საფარს, ამ სიტყვებით მისი დანაშაულის თანამონაწილედ მიიჩნევს თავს და საფეთქელში მიიჭედავს ტყვიას, რითაც აორმაგებს საფარ-ბეგის დანაშაულს.

პოემაში ზოგი პერსონაჟი ქართველია, ზოგი მუსლიმანი, ვფიქრობ, შეგნებულად შეარჩია აკაკი წერეთელმა გამზრდელი მუსლიმანად, რადგან ქრისტიანისათვის თვითმკვლელობა მიუტევებელი ცოდვაა, ხოლო მუსლიმანისთვის, პირიქით, ერთგვარი სწრაფვაა ალაჰისკენ. (ქართველი მწერლები სკოლაში, აკაკი წერეთელი I ნაწილი გვ. 338)

როგორც ვიცით, აკაკი წერეთელმა თავისი უკვდავი პოემა დიდაქტიკურ, აღმზრდელობით მოტივს მიუძღვნა; შემთხვევითი არც ეპიგრაფია, „ვუძღვნი ჩემს პედაგოგებს“, რითაც იმის თქმა უნდოდა, რომ მოზარდის აღზრდაში დიდ როლს თამაშობს მასწავლებელი, მაგრამ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მწერალს სჯერა გენეტიკის სიძლიერის (**„თუ ბუნებამც არ უშველა''**) ასეთ შემთხვევაში წვრთა უძლურია არა მარტო ამ პოემაში, არამედ მის ,,ბაში-აჩუკშიც''. თუ გავიხსენებთ მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟის - აბდუშაჰილის ფიქრებსა თუ ქმედებებს, დავრწმუნდებით, რომ აკაკი წერეთელი უპირატესობას გენეტიკას ანიჭებს, რაც დიდაქტიკურ მოტივში უდიდეს როლს თამაშობს.

ლიანა ჯანგულაშვილი-გელაშვილი,
თბილისის 83-ე საჯარო სკოლის
წამყვანი პედაგოგი.

პირველი გვერდიდან

გიორგი ლიჩელი: „ეროვნულ ნიადაგზე პიროვნებებად აღვზარდოთ!“

სკოლა ასევე წარმატებულია **„ევერესტში“**, **„რობინზონში“**, სვადასხვა ინტელექტუალურ თამაშში. სკოლის 947 მოსწავლიდან ასეთ ღონისძიებებში 400-

ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობს. ანუ ეს „რჩეულთა“ ხვედრი არ არის. სკოლა ცდილობს და აღწევს კიდეც, რომ ყმაწვილებს მაქსიმალურად გაუფართოოს თვალსაწიერი, სასწავლო პროგრამის, რაც ყოველ მოსწავლეს მოიცავს, მიღმაც „გადაახედოს“ და ასე გაუღრმავოს ცოდნა. ამას ხალხური საკრავებისა და ქართული ხალხური ცეკვების, ტანვარჯიშის, კალათბურთის წრეები და სექციებიც დავუმატოთ და ცხადი შეიქნება, რომ 129-ე სკოლაში ჰარმონიული პიროვნების აღზრდა აქვთ დასახული მიზნად. ამიტომაცაა რეგიონში საუკეთესოთა სამეულში სკოლის სპორტული კლუბი „ირაო“ (ხელმძღვანელი – **ეკა ჭადიშვილი**, სპორტის მასწავლებელი – **დავით უნგიაძე.** ფრენბურთი, კროსი, მინიფეხბურთი, ბადბიტონი).

სკოლის წარმატების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და უტყუარი დასტური: საქართველოს სკოლებიდან გამოირჩა – 50, სადაც დაწყებით საფეხურზე ხორციელდება საპილოტე პროგრამა „ახალი სკოლის მოდელი“. 129-ე სკოლა ამ პროექტის მონაწილეა.

ოქროს მედლების – 7 და ვერცხლისა ორი კანდიდატი ჰყავთ: **სალომე ადამაშვილი, ანა მიშელაძე, მარეხ გავაშელიშვილი, მარიამ ცაგურიშვილი, მანანა არსიაშვილი, ანა უგრელიძე** და **თეონა ფირცხალავა** – ოქრო; **იაკობ მოსემღვდლიშვილი** და **მარიამ კუპრაძე** – ვერცხლი.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ უმთავრესი მაინც ზემოთქმულია – სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ყოველ მოსწავლეს მოიცავს.

ინფრასტრუქტურა, ძირითადად, მოწესრიგებულია. ეტაპობრივად ივსება და გადახალისდება. ამას წინათაც მიიღეს განათლების სამინისტროდან 24 კომპიუტერი, ლეპტოპები.

თუ მართალია გამოთქმა პირველი შთაბეჭდილება უტყუარიაო, დირექტორის, ბატონ **გიორგი ლიჩელის** გაცნობის, საუბრის შთაბეჭდილება ესაა – ადამიანი თავის ადგილზე. მან დედაუნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა და სახალხო ბანკში (ახლანდელი – ლიბერთი) მუშაობდა საკრედიტო ოფიცრად. 2012 წლიდან განათლების სისტემაშია: ჯერ ამ სკოლაში იყო დირექტორის მოადგილედ, შემდეგ – 94-ეში, შარშან ივნისში კი, სერთიფიცირება გავლილი, სამეურვეო საბჭომ აირჩია დირექტორად. დირექტორი კია, მაგრამ, უპირველესად, პედაგოგია; პედაგოგია არსითა და მოწოდებით. ახლაც ასწავლის. სკოლის ყველა საფეხური აქვს გავლილი, იცის სკოლა, იცის რაოდენ მძიმე და საპასუხისმგებლოა პედაგოგობა და არა „კაპიტნის ხიდურიდან“ ხელმძღვანელობს კოლეგებს, არამედ სწორედ კოლეგიალურად, ურთიერთპატივისცემითა და ურთიერთგაგებით, გუნდურად და ინდივიდუალურად მუშაობის პრინციპით.

სკოლის ცოცხალი ენციკლოპედია უწოდა მოადგილეს, ქალბატონ **ეკატერინე ხიჯაძეს**, მეცხრამეტე წელი რომ მუშაობს აქ, დირექტორმა და ამაში მყისვე დავრწმუნდი, როგორც კი ქალბატონ ეკატერინეს მივმართე სკოლის საკითხებზე. ჰოდა, როცა სათავე წმინდაა, წყაროც ანკარა მოედინება, ანუ, როცა ასეთი ხელმძღვანელებია და ასე შეწყობილად მუშაობენ ეს მთელ კოლექტივსაც რაზმავს, რაც კვლავ და კვლავ ამაღლებს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხს.

სკოლებში გამოცდები გააუქმეს. რას ფიქრობს ამაზე 129-ე სკოლის დირექტორი?

გიორგი ლიჩელი: „ბევრგან ვყოფილვარ დამკვირვებლად „კატის“ გამოცდებზე და ვიტყვი, რომ ეს გამოცდები არ იყო მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად გამოვლენის საშუალება. სამწუხაროდ, ხშირად მინახავს მოზარდთა გაკვირვებული სახეები, როცა მაღალი შეფასება მიუღიათ იმ საგანში, რაც არ იცოდნენ. პრობლემა გამოცდების გაუქმება-არგაუქმება კი არა, სწავლების ხარისხის ამაღლებაა. ან რა აჟიოტაჟია? სკოლებს ხომ აქვთ გამოცდების დანიშვნის უფლება? თან, რა ამბავი იყო 8 გამოცდა? ვთქვათ – 7 ჩააბარე და ერთში ჩაიჭერი, ხომ უატესტატოდ რჩები. ძალზე მოუქნელ, გაუთვლელი სისტემა იყო. მოსწავლეები ეროვნულ ნიადაგზე პიროვნებებად უნდა აღვზარდოთ. სკოლას საამისოდ ძალზე ბევრი რამ ძალუძს და ჩვენ – დირექცია, მთელი კოლექტივი სწორედ საამისოდ ვიღწვით“.

კონსტანტინე გურგენიძე

152-ე სკოლა მოწინავეა

ამაყობენ მიღწევებით - რეფორმისთვის მზად არიან

ალბათ, თითებზე ჩამოსათვლელია ისეთი სასწავლო დაწესებულება, რომელსაც იმდენი რაოდენობის ქების სიგელი და მადლობის ბარათი აქვს მიღებული, როგორც თბილისის 152-ე საჯარო სკოლას.... და ეს წარმატება, რა თქმა უნდა, კარგი მენეჯერისა და მაღალკვალიფიციური პედაგოგების დამსახურებაა. აქ სასკოლო ცხოვრება სანიმუშოდ მიმდინარეობს, სასწავლო პროცესი დინამიურია და პროგრესირებადი. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს შემოქმედებითი უნარები განუვითარონ და პატრიოტული სულისკვეთება ჩაუნერგონ.

- ჩვენი მიზანია თითოეული მოსწავლის ნიჭი წარმოვაჩინოთ, სათანადო ცოდნა მივაწოდოთ და ღირსეული ადამიანები აღვზარდოთ - ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი სკოლის დირექტორმა **თამარ გურაშვილმა.** მისი თქმით, 152-ე სკოლაში კარგ განათლებასთან ერთად, მოსწავლეებს ასწავლიან ერთმანეთზე ზრუნვას, თანადგომას, ურთიერთპატივისცემას.

ქალბატონი თამარი უაღრესად კულტურული პიროვნებაა, არის მაღალკვალიფიციური პედაგოგი და შესანიშნავი ხელმძღვანელი. უკვე ცხრა წელიწადია 152-ე სკოლის დირექტორია, თუმცა, აღნიშნულ პოზიციაზე 34-წლიანი გამოცდილება აქვს, კარგად ესმის სკოლის ცხოვრება, პედაგოგისა თუ მენეჯერის უმთავრესი მოვალეობა და ამიტომაც არის ეს სასწავლებელი მაღალ შედეგებზე ორიენტირებული. სკოლა გამოირჩევა წესრიგით, სისუფთავით, დისციპლინით და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესით. აქ მუდამ შემოქმედებითი განწყობა სუფევს და მოსწავლეთა წარმატებებით პედაგოგები ამაყობენ. საკლასო ოთახები, კაბინეტ-ლაბორატორიები და დარბაზები გარემონტებულია და აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს მხარში დგომით ბევრი რამ მოწესრიგდა, გამოიცვალა შენობის სახურავი და უმაღლეს დონეზე გარემონტდა 8 სველი წერტილი. სარემონტო სამუშაოების განახლება სამომავლოდაც არის დაგეგმილი.

152-ე საჯარო სკოლაში 17 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვია, რომლებისთვისაც განკუთვნილია კეთილმოწყობილი რესურს ოთახი და მუშაობენ პროფესიონალი სპეციალური პედაგოგები. აქ უმთავრესია მშობელთა ჩართულობა და მათთან ერთად ყველა მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება. კარგად მუშაობს თვითმმართველობაც, რომლის ხელმძღვანელია **სალომე კაკავა.** დადებითად აფასებენ სამეურვეო საბჭოს საქმიანობას, რომელიც 13 წევრისგან შედგება, აქედან 6 მშობელია, ხოლო ერთი მოსწავლე.

აღნიშნული სასწავლო დაწესებულება აბსოლუტურად უსაფრთხოა, არ შეიმჩნევა ბულინგის შემთხვევები. დირექტორის, თითოეული თანამშრომლის და მანდატურის დიდი დამსახურებაა, რომ მოსწავლეებს შორის მცირეოდენი გაუგებრობა მაშინვე აღმოიფხვრება და სერიოზულ სახეს არ იღებს. აქ აკონტროლებენ თითოეული მოსწავლის ყოფაქცევას. ასევე, ზრუნავენ მათ ჯანმრთელობაზე. ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი და კვალიფიციური ექიმი მოწავლეებს სიტემატურად უტარებს სამედიცინო გამოკვლევებს.

152-ე სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, აქედან 33 უფროსი მაწავლებელია, სამი **ფასილიტატორია** და სქემაში ჩართულ მასწავლებლებთან მუშაობს. წარმატებით ფუნქციონირებს კათედრები: ქართული ენისა და ლიტერატურის - **ლელა გიგაური,** მათემატიკის - **მაია ტურიაშვილი**, უცხოური ენისა - **ნინო ონაშვილი,** საბუნებისმეტყველო - **ია ამაშუკელი**, საზოგადოებრივი მეცნიერების - **მანანა ციხისელი,** სპორტისა და ესთეტიკის - **ინგა ამაშუკელი**, დაწყებითების **- ნინო ცხვარიაშვილი.**

გასული სასწავლო წელი ნაყოფიერი იყო სკოლისთვის, რადგან 5 ოქროს მედალოსანი ჰყავდათ, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

აქ მუდამ შემოქმედებითი პროცესი ჩქეფს, მოსწავლეთა დიდი ნაწილი ჩართულია ოლიმპიადებში, კონკურსებსა და სხვადასხვა აქტივობებში. ტარდება შემოქმედებითი და შემეცნებითი ღონისძიებები. ყოველწლიურად ატარებენ ღონისძიებას **„სიკეთე გადამდებია“,** სადაც სტუმრობენ რაიონის სოციალურად შეჭირვებულ მოხუცებს. ასევე, დაგეგმილია ხაშურის ბავშვთა სახლის აღსაზრდელების სკოლაში მიწვევა.

დიდი ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას და მაღალ დონეზეა სპორტის სწავლება. მოსწავლეები ჩართულნი არიან სპორტის სხვადასხვა სახეობებში და დიდ წარმატებებს აღწევენ. მიღწევები აქვს ძიუდოში მე-9 კლასელ **გიორგი პაპავას.** იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ამავე სახეობაში წარმატებულია **ნიკოლოზ დოლაბერიძეც**; **ნიკა ციხისელი** კი - ფეხბურთში. შესანიშნავი შედეგები აქვთ მე- 10 კლასის მოსწავლეებს **მალხაზ ბანძელაძეს,** საქართველოს ჩემპიონია სამბოში ძიუდოში. **ნიკა ჯიბღაშვილს** - ჭიდაობაში. **ლევან** და **ლიკა თვალიაშვილები** წარმატებით ასპარეზობენ - კინგ ბოქსიში (ბრძოლა წესების გარეშე). ნორჩი სპორტსმენები არიან მე-11 კლასელები **მიხეილ სიმონიშვილი** - ჭიდაობა და **თორნიკე გულისაშვილი** - რაგბი.

დირექტორის თქმით, სკოლაში ხშირად ტარდება სასწავლო თუ აღმზრდელობითი ღონისძიებები, როგორც ერთობლივი, ასევე ცალკეულ კლასებში. სკოლას ხშირად სტუმრობენ ჩვენი საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები, ხელოვანების და გამორჩეული პიროვნებები. სკოლის IX[2] კლასის მოსწავლეებისა და მათი **დამრიგებელის დუდუხანა მდინარაძის** ინიციატივით, გაიმართა შეხვედრა ახალგაზრდა მწერალ **ალექსანდრე ლორთქიფანიძესთან**, რომელიც გადაცემა **„წიგნების თაროს“** წამყვანიც გახლავთ. შეხვედრაზე, ლიტერატურით დაინტერესებულ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ გასაუბრებოდნენ მწერალს, მოესმინათ მისი აზრი მათთვის საინტერესო საკითხებზე.

V[1] კლასის მოსწავლეებს კი ესტუმრა, 2017 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს გამარჯვებული, მასწავლებლის გლობალური ჯილდოს ფინალში გასული პედაგოგი **ვლადიმერ აფხაზავა**. ცნობილმა პედაგოგმა ბავშვებთან ერთად საინტერესო აქტივობები განახორციელა, რითაც მოსწავლეებს სამოქალაქო ცნობიერება და თანამშრომლობის უნარი აუმაღლა.

თამარ გურაშვილი: 152-ე საჯარო სკოლა რეგიონის მასშტაბით საუკეთესო ოცეულშია მრავალრიცხოვანი დიპლომებითა და მოსწავლეთა რაოდენობით, რომლებმაც „კინგსის“ 2018 წლის შემოდგომის სეზონის, ქართული ენის ოლიმპიადის ფინალურ ტურში მოიპოვეს წარმატება; ხოლო ამავე საგანში ოლიმპიადების ფინალურ ტურებში აღებული დიპლომების მიხედვით, რეგიონში საუკეთესო ათეულში მოხვდნენ.

სკოლის დირექცია მოსწავლეებსა და პედაგოგებს ულოცავს წარმატებას და შემდგომ წინსვლას უსურვებს. მასწავლებელთა გაზეთიც ულოცავს 152-ე სკოლელებს დიდ მიღწევას.

მზია გოგოძე

ნომრის სტუმარია 182-ე ბაგა-ბაღი

დედის დღე მიულოცეს



საგაზაფხულო განწყობა სუფევს თბილისის 182-ე ბაგა-ბაღში, სადაც შესვლისთანავე იგრძნობა სილამაზე და სიმყუდროვე. ეზო გამწვანებულია და მოპირკეთებული, დამონტაჟებულია საბავშვო ატრაქციონები და ფანჩატურები. შენობა გარემონტებულია და კეთილმოწყობილი. დირექტორის **მარინე გონაშვილის** ძალისხმევით, უკვე ხუთი წელიწადია ბაღის ინფრასტრუქტურა აბსოლუტურად მოწესრიგდა და სააღმზრდელო პროცესი საგრძნობლად გაუმჯობესდა. ბაგა-ბაღების სააგენტოს გვერდში დგომით, გამოიცვალა შენობის სახურავი და ასფალტის საფარი, გარემონტდა სამზარეულო, დარბაზი, ბაღი აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით, სააღმზრდელო ლიტერატურით და ა. შ. ბაღი დაკომპლექტებულია გამოცდილი და პროფესიონალი კადრებით. აქ დიდი ყურადღება ექცევა კვებას და ჰიგიენას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

დედის დღესთან დაკავშირებით, თბილისის 182 ბაგა-ბაღში იმართება სხვადასხვა აქტივობები და სეზონური ზეიმები. პატარებს სიმღერებს ასწავლიან და მუსიკას აყვარებენ პედაგოგები **თინა გლოველი** და **ნატალია ქორიძე.** ბაღში წარმატებით ფუნქციონირებს **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა, სადაც 128 აღსაზრდელი უკვე მომზადებულია სასკოლოდ.

მარინე გონაშვილი: ამჟამად, ბაღში სულ 517 ბავშვი და 12 ჯგუფია. გვყავს 19 განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატარა, ხოლო ერთი შშმ აღსაზრდელია. მათ უვლიან კარგი სპეციპედაგოგები **მაია მიქელაძე** და **ვიოლეტა ბახტურიძე**. ასევე, ფსიქოლოგი **ლია ისაკაძე** და ლოგოპედი **ხათუნა წაწალაშვილი**. ბაღის მულტიდისციპლინარული ჯგუფი, აღმზრდელებთან და თანაშემწეებთან ერთად კოორდინირებულად მუშაობენ და კარგ შედეგებსაც აღწევენ. მეთოდისტმა **მერი ალექანდიამ,** ჯერ თავად გაიარა ტრენინგი და შემდეგ აღმზრდელები გადაამზადა. ჩვენთან შემოქმედებითი ღონისძიებები ყოველწლიურად ტარდება. განსაკუთრებით მინდა გამოვყო: **„დაუნის სინდრომის დღე“, „დედამიწის დღე“, „წიგნის საჯაროდ კითხვის დღე“** და ა. შ. ასევე გვქონდა გასვლითი ღონისძიებები. მაგალითად, ზოოპარკში, ხელოვნების მუზეუმში, რაიონულ ბიბლიოთეკაში და ბუნებაში შავნაბადაზე. ახალი სტრატეგიის მიხედვით, აღმზრდელები პატარებს ინოვაციურ მეთოდოლოგიურ თამაშებს შეგრძნებებით ასწავლიან. თამაშ-თამაშით უვითარებენ უნარებს. ამ დღეებში, დირექტორმა მშობლებსწლიური ანგარიშის პრეზენტაცია წარუდგინა.

აღსანიშნავია, რომ ბაღში ზრუნავენ არა მარტო პატარების შემოქმედებით უნარებზე, არამედ მათი გემოვნების განვითარებაზეც. უჩვეულო სანახავია აღმზრდელის **ნანა მჭედლიშვილის** მიერ ჩატარებული მეცადინეობები. მას მხარში უდგანან თანაშემწეები **თეა ფერაძე** და **გულო ზურაბიშვილი.** ქალბატონი ნანას ინოვაციური სწავლების მეთოდი არაორდინალურია და თეატრალიზებულ სახეს იღებს. საინტერესოდ არის წარმოდგენილი თითების ვარჯიში, **„თითების თეატრი“, „ქაღალდის ორკესტრი“, „კაკლების თამაში“**, სადაც ბავშვებს ხელების მოძრაობით, მუსიკის თანხლებით, ტექსტის თხრობით და ემოციით უფართოვებენ თვალსაწიერს და წარმოსახვის უნარს. აღსაზრდელები პედაგოგებთან ერთად, ბუნების სხვადასხვა მოვლენებს ხელების მოძრაობით განასახიერებენ.

საგულისხმოა, რომ 182-ე ბაღში მეგობრული და თბილი გარემოა შექმნილი, რაც დირექტორის დიდი დამსახურებაა. აქ მთელი კოლექტივი ერთ მუშტად არის შეკრული და გუნდური პრინციპით მუშაობენ. ცუგრუმელებს კი, სითბოსა და სიყვარულს არ აკლებენ. ამიტომაც მშობლებიც კმაყოფილები არიან და ბაღის პოპულარობაც იზრდება.

რვა მარტი და გაზაფხული ერთად მოგვილოცნია თქვენთვის, 182-ე ბაგა-ბაღელებო!

მზია გოგოძე

უმღერიან: დედას, 8 მარტს, გაზაფხულს...

ნაირა ნიჟარაძე

მსოფლიოში მხოლოდ ჩვენ გვიდგას „**დედაენის**“ ძეგლი (ვაი, რომ იაკობის „**დედაენა**“ გაძევებულია სკოლიდან, ძეგლი კი დგას ეულად) მხოლოდ ქართველებმა შევარქვით „ყველაზე სანუკვარ ფასეულობებს დედის სახელი“ (ილია): „**დედაქალაქი**“, „**დედაბოძი**“, „**დედამიწა**“, „**დედააზრი**“... ჩვენ ვაღმერთებთ დედას: „**შვილის ლამაზად გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა**“ (**ვაჟა**), „**დედავ, სიცოცხლის დიდო საწყისო, დედავ, ცხოვრების ბურჯო მაგარო**“ (**იოსებ ნონეშვილი**)... არანაკლებ აღმერთებდნენ დედას **ილია, აკაკი, ნეკრასოვი**... მსოფლიო ღირებულებისაა გორკისეული შეფასება: „**ვადიდოთ ქალი – დედა, ვისი მკერდითაც გამოზრდილია კაცობრიობა**“. აი, კიდევ გოეთე: „**ქალი – დედა ბუნების უმშვენიერესი ქმნილებაა**“.

მთელი ანტიკური ხელოვნება ხომ ქალის საოცარი სილამაზის ჰიმნია. **ქალი** და **გაზაფხული, სიცოცხლისა** და **ბუნების მეჯლისი** სიმბოლური სინონიმებია.

ამ და კიდევ სხვა აქტუალურ თემატიკას საინტერესოდ ეხმიანებიან პოპულარული საბავშვო პოეტები: **ნაირა ნიჟარაძე** და **ლეილა ვადაჭკორია**.

მართლაცდა, „უდედოდ-უსიყვარულოდ გაზრდა ვინა თქვა შვილისა?“

თბილისს უმღერიან

გულყვითელა ჩიტები
დილით მოფრინდებიან,
ჭიკჭიკებენ, გალობენ,
სულ თბილისს უმღერიან.

დედასავით ყოჩაღი

დედასავით ავდგები
ყოველ ცისმარ დილითო
და ბაღჩაში დავთესავ
ლობიოს და სიმინდსო.

გაიხარეთ

– იკაშკაშეთ, ყვავილებო,
ლურჯ ალმასის კაბაში,
იხარეთ და იხალისეთ
საქართველოს მთა-ბარში!

რაგბი

რაგბი ჩვენი თამაშია,
საქმე სწორედ ამაშია,
სადაც უნდა წაგვიყვანონ,
გამარჯვება ძალაშია!

სულ მშვიდობა

თქვენ გაიხარეთ, ქალებო,
ბებო, მამიდავ, დაიკო,
თქვენში არასდროს ჩხუბი და
გულმოსულობა არ იყოს.

ფეხბურთი

შეყვარებიათ ფეხბურთი,
– ბახ, – გოლი გატანილია,
ბურთს სულ დასდევენ ეზოში
ლუკა, გელა და ილია.

ნინო ესაუბრება თოჯინას

ნინო მიუჯდა კუთხეს მორჩილად
და ეუბნება ცქნაფა თოჯინას:
– შენ უნდა გქონდეს მარჯვე ხელები,
– თესო სიმინდით ვრცელი ველები.
– უნდა სწავლობდე, გიყვარდეს წიგნი,
ვინც წიგნს კითხულობს, მან ბევრი იცის.
– სიმართლე უნდა გიყვარდეს წმინდა,
აი, ასეთი შვილიკო მინდა!

ახალთახალი

შავფაროსნებში დავდივარ,
ღონით არვინ მყავს ბადალი,
ფეხბურთის ფორმა მიყიდეს,
ლამაზი, ახალთახალი.
ბაბუამ უთხრა ბებიას
– ეს ბიჭი, ვიცი, მე მგავსო,
დედამ საჩუქრით ამავსო,
გასჯიბრებია მამასო!.

ცხვარი

გინდ წვიმა იყოს, გინდ – ქარი,
ცხვარი არ უმზერს არავის,
ნელა მიჰყვება იალაღს,
თავს ადგას ზეცის კარავი.

8 მარტია

ჰაუ, დავკრიფე რამდენი
იები, ყოჩივარდები,
ბაღში გოგონებს მივართმევ
და ყველას შევუყვარდები.

ჩვენი ქვეყანა

ჩვენი ქვეყანა დიდია,
სავსეა მზით და წყაროთი,
– ბებომ თქვა: მუდამ შვილებით,
შვილიშვილებით ვხარობდი!

დედას

დედავ, მშრომელო, ფხიზელო,
მზრუნველო, ქვეყნის იმედო,
და-ძმანი ბევრი მაჩუქე,
– ოღონდაც ღმერთმა ინებოს!

გაზაფხულდა

თეთრყირმიზა ყვავილებით
ავსებულა მთა-ბარი,
ათასფერად დაუწინწკლავთ
ლურჯ-წითელი კაბანი.

ყაყაჩოებს უთხრა ნინომ,
– თქვენთვის არა მცალია,
თქვენზე კარგი ყვითელგულა
გვირილები არიან.

– არ მოგვწყვიტო, გენაცვალე,
აჩურჩულდნენ ყანაში,
არემარეს ვალამაზებთ,
ცუდი რაა ამაში?!

– იკამათეთ, ყვავილებო,
ბალახოვან კაბაში,
იხარეთ და იხალისეთ,
საქართველოს მთა-ბარში!

სიმღერა

აივანზე გამოვიდა
ნინო პერანგიანი,
ჭიკჭიკებენ ჩიტუნები,
ნაცრისფერ-კუდიანი.

– მთელი ღამე, ბულბულო,
ვის უგალობთ ჰანგებს ამოს
– დღე ნათელი გათენება,
მზეს ვუგალობთ
სათაყვანოს!

ზურაბ ქობალია

დღეს ტყუილად არ დავშვრები

მოვალ, მომაქვს ლექსი პეშვით,
ციდან უფლის ხმა ჩამესმის,
პოეზიის მადლის მესმის,
ზოგჯერ ვუსმენ კიდეც გერშვინს.

სიტყვის წვიმა მოდის თქეშით,
დავსიტყვდი და სიტყვაც მეთქმის,
რომ მონა ვარ სიტყვის – ღმერთის
და სამშობლოს... სხვას ვერ ვეტრფი.

ბავშვობაში რასაც ვწერდი,
იმასვე ვწერ, არ ვეშვები,
გაღეღილი მაქვს კვლავ მკერდი,
ამიტომაც ვსუნთქავ ვშვებით.

ვიცი, დღესაც გადავრჩები,
დამიგროვდა კვლავ სათქმელი,
დღეს ტყუილად არ დავშვრები,
თუკი დღესაც არ დავთვერი.

***

ვხედავ, მახვილი დამოკლეს,
ყველას რომ თავზე ჰკიდია,
ცხოვრება არის ხანმოკლე,
სოფელი უფრო დიდია.

ხან მაცოცხლეს და ხან მომკლეს,
ზოგისთვის ჯერაც ბინდია,
ამ ქვეყნად ყოფნა ხანმოკლე
ზესოფლისათვის მინდია.

ლეილა ვადაჭკორია

დედა

ვისი სხივია გზას რომ მინათებს,
თავზე რომ მადგას რწმენის
გვირგვინად!
ვინ არის მუდამ სიმშვიდეს
რომ მგვრის,
მეხმა უეცრად თუ დაიგრგვინა
გადამატარებს ღრუბლის
მთა-გორებს
ჩემთვის სალ კლდესაც
შეეჩეხება,
ეს დედა არის ჩემთვის
მლოცველი,
ღვთისმშობლის კალთას როცა
ემთხვევა.

ასეთია დედა

მთებს დასძრავს
შვილს თუ დასჭირდა,
ქარს წარიტაცებს
მდელოდან,
უკვდავების წყალს
მიუტანს
დევების სამფლობელოდან.

ქალი სამყაროს მპყრობელი

ქალი სიცოცხლის წყარო
და სიყვარულის ემბლემა,
ქალმა თუ გულით ინება
უდაბნოს აქცევს ედემად.

ქალს შეუძლია სინაზით
და სათნოებით ავსებაც
თუ საჭიროა, იქცევა
ყველაზე ძლიერ არსებად.

რამდენ ქალს დაბედებია
ჭაპანის წევა კაცისა,
ამ ქალებს შემორჩენიათ
სახელი „დედაკაცისა“,

გმირი დედებიც ხომ გვყვანან
და შრომის გმირი ქალებიც
მეომარ ქალებს ვინ მოთვლის
ცეცხლს რომ აფრქვევენ თვალებით.

ქალებს არც სიბრძნე აკლიათ,
რწმენა და რჯულის სიმტკიცე,
ბრძენთა ბრძენია თამარი,
ქეთევანს ხატზე ვიფიცებთ.

ქალი სიცოცხლის წყაროა,
გამრავლებული ერისა,
ბედნიერი ხართ, ქალებო,
ვისაც დედობა გეღირსათ.

პეიზაჟი

დაიცალა ცა ამდენი
თოვლითა და წვიმით,
გაზაფხული მობრძანდაო
მზის სხივების მძივით.

ჩემი სამწყსო

იალბუზს გადაუფრინე,
ხელი მიწვდება მნათობს,
ზღვაო, მღელვარეს გიყურებ
რა ახლოს ხარ და რა შორს.

მდინარეების ქუხილი,
მთიდან ჩანჩქერის დენა,
იალაღს ცხვარი გაშლილა
აქეთ – ცხენების რემა.

ბარში ენძელა ყვავილობს,
თეთნულდს კი უხვად ათოვს,
რა უცნაური რამ ხდება
ამ ჩემს პატარა სამყსოს.

გაზაფხული აგერაა

წვიმა მოვიდა შხაპუნა
ფოთლებზე წკაპ-წკუპ,
წკაპ-წკუო,
ელავს, სულიერი გაირინდა
კოდალა მორჩა კაკუნს.
„გაზაფხულია, მალე
გადაიღებს“,
ბაბუ სულ ასე ჩიოდა,
შენც გული ჩაგიდგება
საგულეში,
და ფრთებს დაიბერტყავს
ჩიორა.

ნუ ტირი, ტირიფო!

როცა ბუნება ზეიმობს
ფერად-ფერადი სამოსით
და როცა ცისკრის ვარსკვლავი
მოწმენდილ ცაზე ამოდის.

ხარობს ია და ენძელა,
ხეებს უსკდებათ კვირტები,
ტყეში კუნელი ყვავილობს
და ჟღურტულებენ ჩიტები.

შენ რატომ მოგიწყენია,
ჩემო ლამაზო ტირიფო,
გულს ჯავრი გადაიყარე,
როდემდე უნდა იტირო?

ქარო აშარო

რად დაქრი, ქარო აშარო,
ღრუბლები უნდა დაშალო?
თუ შემოდგომის ფოთლები
ფიანდაზებად გაშალო.

ქარი გაზაფხულზე, ზაფხულში,
შემოდგომით თუ ზამთარში,
აღარ მოგბეზრდა ჩხუბი და
სულ ომობანას თამაში?

რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა

(დამატებითი ინფორმაცია XVII-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურის შესწავლისათვის)

პირველი დაკავშირება ქართველებისა და რუსებისა სარწმუნოებრივ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო. IX-X საუკუნეებში, როგორც ისტორიული მასალები გვაუწყებს, ქართველებისათვის რუსები სამხედრო-პოლიტიკური ძალითაც უნდა ყოფილიყვნენ ცნობილი, რადგან X საუკუნის 80-იან წლებში ისინი ჩანან ბასილი კეისრის ჯარებში, რომლებშიც ქართველებიც ერივნენ (**ი. ცინცაძე, ძიებანი, 1956, 15, 19-20**).

ერთა დაახლოების ერთ-ერთი ფაქტორია დინასტიათა დანათესავება. შუა საუკუნეებში, ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლებისათვის ბრძოლისას, ქორწინებით დანათესავება პოლიტიკური ხასიათის მატარებელი აქტია. სასიძოებს, მეფის ტიტულთან ერთად, კარგი საბრძოლო მონაცემები, **„სამამაცონი ზნენი“** უნდა ჰქონოდა, ხოლო სარძლოები მეფეთა, დიდებულთა დამეგობრების გარანტია იყო. აღნიშნულს ამტკიცებს რუს და ქართველ მეფე-მთავართა დაქორწინება. მაგალითისათვის საკმარისია **თამარ მეფისა** და **გიორგი ანდრიას ძე რიურიკის** ქორწინება. ეს უკანასკნელი ქართველთა წრეებში მოსწონდათ გვარიშვილობითა და ქრისტიანობით.

XII-XVI საუკუნეებში რუსები ქართველებს ეცნობიან ლეგენდებისა და ზეპირი გადმოცემების გზითაც. მაგალითად: **„რუსული თქმულებები“** ივერიისა და რუსთა მფარველი მარიამ ღვთისმშობელსა და მის ხატზე, ანდრია პირველწოდებულის „მიმოსვლის“ შესახებ კიევის ქვეყანაში, ივერიის გამაქრისტიანებელ **„ტყვე ქალსა“** , ბაბილონის სამეფოსა და თემურ ლენგზე. აგრეთვე **„თქმულება დინარათამარზე“** (**ტ. რუხაძე, 1960, 33**).

XVII-XVIII საუკუნეებში საქართველო და რუსეთი ხელს უწყობენ ვაჭრობისა და მრეწველობის დარგების განვითარებას. XVIII საუკუნიდან რუსეთის ისტორიაში იწყება ახალი პერიოდი, რომელიც პეტრე პირველის მეფობას უკავშირდება „XVIII საუკუნის ქართველმა პოეტებმა: არჩილმა (**„მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“**), ფალავანდიშვილმა (**„ვახტანგიანი“**), დავით გურამიშვილმა (**„ქართლის ჭირი“**), მამუკა ბარათაშვილმა (**„ქება ბაქარ მეფისა“**), დემეტრე ორბელიანმა (**„პეტერჰოფი“**) და სხვებმა იმაზე ცოტა როდი თქვეს პეტრე პირველზე, ვიდრე XVIII საუკუნის რუსმა პოეტებმა (**ტ. რუხაძე, 1960, 33**).

XVII-XVIII საუკუნეების ქართულ-რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ სტამბა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართველთა განათლების საქმეში. XVII საუკუნეში არჩილი მოსკოვში აარსებს ქართულ სტამბას, რომელშიც დაიბეჭდა **„დავითნი“**. აქვე გამოიცა ქართული **„ბაქარის ბიბლია“** და ვახტანგ VI-ის კომენტარებით **„ვეფხისტყაოსანი“**.

„1819 წელს გამოსულ პირველ ქართულ გაზეთს ემჩნევა რუსული ლექსების კვალი, ეს გასაგებია XIX საუკუნეში“ (**ტ. რუხაძე, გვ.78**).

ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რუსული უნივერსიტეტის დაარსებაში. გიორგი ვახტანგის ძე ბატონიშვილს ათი ათასი მანეთი შეუტანია უნივერსიტეტის ფონდში. არის მოსაზრება, რომ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის დამაარსებელთა შორის მოიხსენიება. როგორც ტ. რუხაძე ამტკიცებს, ეს აზრი გამოთქვეს მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტებმა: აკადემიკოსმა ალ. ჯავახიშვილმა და აკადემიკოსმა ალ. თვალჭრელიძემ.

XVII-XVIII საუკუნეებში ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე საუბარი საკმაოდ ვრცლად შეიძლება, მაგრამ საკმარისია დავასახელოთ **დავით გურამიშვილი** და **სულხან-საბა ორბელიანი,** რომ დავინახოთ, ქართველთა ცხოვრებაში რა ადგილი ეკავა რუსეთს.

XIX საუკუნიდან რუსეთის ინტერესი საქართველოს მიმართ კიდევ უფრო იზრდება. კავკასიის დასაპყრობად უკვე აშკარა აგრესიასაც იჩენს. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რუსეთმა მიზანს მიაღწია. კავკასია ბრძოლის ველად იქცა. აქ ასახლებენ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებს. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო რუსეთის კოლონიად იქცა. მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, ამ ორ ხალხს შორის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა არ შეწყვეტილა, პირიქით კიდევ უფრო გააქტიურდა, უკეთ შეისწავლეს ერთმანეთის ლიტერატურა. ილია ჭავჭავაძე და ქართველი თერგდალეულები აქტიურად ერთვებიან რუსეთის კულტურაში, უმაღლეს განათლებას პეტერბურგის უნივერსიტეტში ეუფლებიან და განსწავლულნი, იდეებით დატვირთულნი ბრუნდებიან საქართველოში. ჩვენთან ჩამოდიან ლერმონტოვი, გრიბოედოვი, პუშკინი და სხვანი.

1930-50 წლებიდან, როდესაც ჩამოყალიბებას იწყებს საბჭოთა კავშირი, ქართველებსა და რუსებს შორის ლიტერატურული ურთიერთობები შემოიფარგლება მხოლოდ მეგობრობის საზღვრებით. ამ დროს ჯერ არ არის ინსტიტუტები, კათედრები უნივერსიტეტებში. მოგვიანებით, როდესაც საბჭოთა კავშირის მმართველობა ძალას იკრებს, მეცნიერებს, ჩვენს შემთხვევაში ლიტერატორებს, სახელმწიფო ინტერესების სამსახურში აყენებს. ვრცელდება სოციალისტური რეალიზმი. ეს სრულიად ლოგიკური მეთოდი იყო მართვისა, რადგან საბჭოთა მთავრობას სჭირდებოდა მხოლოდ ბედნიერი და უზრუნველ მომავალზე ორიენტირებული ხელოვნება, რომელშიც რეალობის ანალიზს წარმატებით ჩაანაცვლებდა პარტიის რწმენა, არ იქნებოდა ავანგარდიზმის ადგილი და ხელოვნება დაემორჩილებოდა სოცრეალისტურ კანონს. რაც შეეხება ამ ეპოქის მთარგმნელობით სკოლას, მისი ფორმირების პოლიტიკა განსაზღვრა მაქსიმ გორკის საქმიანობამ. მისი გეგმის მიხედვით, საბჭოთა მკითხველს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, გასცნობოდა მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვან ძეგლებს. ამ გეგმის გაგრძელება იყო **„ვსემირნაია ლიტერატურას“** შექმნა. მოგვიანებით ლიტერატურაზე იდეოლოგიური ზეწოლა გამძაფრდა და მწერალთა შერჩევის მექანიზმი „დაიხვეწა“. ცენზურა ამ საკითხს უფრო ფრთხილად ეკიდებოდა.

საბჭოთა რესპუბლიკების კულტურისა და ლიტერატურის დაახლოების, გაცნობისა და ურთიერთობათა გაღრმავების ეფექტური საშუალება იყო მწერალთა იუბილეები, სამეცნიერო კონფერენციები, ლიტერატურული დღეები. ქართული ლიტერატურის პროპაგანდისათვის უმნიშვნელოვანესი იყო 1937 წელს მოსკოვში გამართული ქართული ხელოვნების დეკადა. ამავე წელს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჩატარდა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ 750 ნლის იუბილე; 1971 ნელს პირველად გაიმართა თბილისში ალ. პუშკინის შემოქმედებასთან დაკავშირებული კონფერენცია, რომელიც განმეორდა 1974, 1977, 1999 წლებში. კონფერენციებზე ჩამოდიოდნენ ლიტერატურათმცოდნეები, კერძოდ, პროფესორები: **არკადი დოლინინი, დიმიტრი ბლაგოი, ბორის მეილახი, ალექსანდრე პანჩენკო, ანდრეი გრიშუნინი.**

გარდაქმნის („პერესტროიკის“) ეპოქამ ახალი შესაძლებლობები მისცა ქართველ მთარგმნელებსა და მკითხველს. ითარგმნა ისეთი მწერლები, რომელთა ნაწარმოებები აკრძალული იყო საბჭოთა ეპოქაში (**მიხეილ ბულგაკოვი, ალექსანდრე სოლჟენიცინი**). ამის შემდეგ იწყება დიდი საბჭოეთის რღვევა და პოსტსაბჭოთა ეპოქა, პოლიტიკურ დაშორებას მოჰყვება კულტურული რღვევაც და ლიტერატურული ურთიერთობებიც თითქმის წყდება.

ელისო ლოგბჟანიძე-ბერიძიშვილი,
თბილისის 83-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი.

მეთოდური რჩევები ინგლისური ენის სწავლებისას დაწყებით საფეხურზე

უცხოური ენის შესწავლა საკმაოდ ხანგრძლივი და ზოგჯერ არცთუ იოლი პროცესია. ამ პროცესის წარმატებით მიმდინარეობისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მოსწავლეთა მოტივირებაა. ცხადია, პატარა ბავშვზე ის არგუმენტი, რომ ინგლისური ენის კარგად ცოდნა მომავალში კარგი სამსახურის შოვნაში დაეხმარება, არ გაჭრის. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის უცხოური ენის შესწავლის საუკეთესო მოტივაცია კლასში სახალისო ატმოსფეროს შექმნაა. როგორც წესი, ისინი საგნის მიმართ დამოკიდებულებას მასწავლებლის ქცევის მიხედვით იყალიბებენ.

ამერიკელი ფსიქოლოგის, **ჰოვარდ გარდნერის** მიერ კლასიფიცირებული სხვადასხვა ტიპის ინტელექტის მიხედვით, სხვადასხვა ტიპის ინტელექტი სხვადასხვა სტილის სწავლებას მოითხოვს. ახალი ინფორმაცია ჩვენს გონებამდე ხუთი სენსორული შეგრძნებით აღწევს. ზოგს საკუთარი თვალით დანახვა ურჩევნია, ზოგს - მოსმენა, სხვებსაც უყვართ, როდესაც ინფორმაცია ფიზიკურად „ხელშესახებია“. ადამიანთა მეტი წილი შემეცნებისას ამ შეგრძნებების მეტ-ნაკლები ხარისხით კომბინირებულ ვარიანტს მიმართავს. როდესაც გაკვეთილს ვგეგმავთ, მეტად მნიშვნელოვანია ბავშვების სხვადასხვა ტიპის ინტელექტის გათვალისწინება და სწავლების სტილების სწორად კომბინირება.

დაწყებით კლასებში ყველაზე სასიამოვნო აქტივობა თამაშია. ბავშვებს თამაშ-თამაშ უნდა ვასწავლოთ უცხოური ენა, რადგანაც თამაში მათი საყვარელი საქმიანობაა. ამით ბავშვები წესთმორჩილებასაც ეჩვევიან და, თამაშით გატაცებულები, ენობრივ ერთეულებს სპონტანურად იყენებენ. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს ბუნებრივი კომუნიკაციის დამყარებას და ჯგუფური მუშაობის უნარის გამომუშავებას. თამაში შეჯიბრის ელემენტსაც შეიცავს, რაც სერიოზული მოტივაციაა, მაგრამ მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ თამაშში ყველა მოსწავლე ჩართოს და მათ გამარჯვების თანაბარი შანსები მისცეს.

პროექტები გაანგარიშებულია ენობრივი ერთეულების პრაქტიკულ გააქტიურებაზე (სწავლა კეთების პროცესში), და, ამავდროულად, აუმჯობესებს სოციალურ უნარებს, სახელდობრ თანამშრომლობის უნარს. პროექტებში რეკომენდებულია ყველა შესაძლებლობის მქონე ბავშვის აქტიურად ჩართვა და მათთვის იმ როლის მინიჭება, რომელსაც ისინი წარმატებით გაართმევენ თავს.

წერითი თუ ზეპირი შეცდომების შესწორება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

თუმცა ბოლოდროინდელმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ენის შესწავლის საწყის ეტაპზე ბავშვისთვის შეცდომებზე მთელი კლასის წინაშე ხშირად მითითება და მისი გაკრიტიკება სერიოზულ დისკომფორტს უქმნის მას და გულს უცრუებს საგნის შესწავლაზე. აქედან გამომდინარე, თავი უნდა ავარიდოთ ყველა შეცდომის შესწორებას და ყურადღება მხოლოდ მნიშვნელოვან სტრუქტურებსა და სიტყვებზე გავამახვილოთ, ბავშვებს შენიშვნები არ უნდა მივცეთ, როდესაც ისინი წყვილებად, ჯგუფურად ანდა დიალოგის რეჟიმში მუშაობენ; უმჯობესია, ჩავინიშნოთ ისინი და აქტივობის დასრულების შემდეგ კლასს მხოლოდ ყველაზე ხშირ და საერთო შეცდომებზე გავუმახვილოთ ყურადღება.

ძალიან ძნელია იმის ზუსტად დადგენა, თუ რომელი ენა (მშობლიური თუ უცხოური) რა რაოდენობით უნდა გამოვიყენოთ გაკვეთილზე. ერთი კი ცხადია, ბავშვებს ყოველი ახალი ლექსიკური თუ გრამატიკული ერთეული აუცილებლად უნდა ვუთარგმნოთ. თავიდან ისინი ორსავე ენაზე, ასე ვთქვათ „სენდვიჩის მეთოდის გამოყენებით“ უნდა შევიტანოთ კლასში, მაგრამ ბავშვები მალევე უნდა მივაჩვიოთ მხოლოდ ინგლისურად ნათქვამ მითითებებზე სათანადოდ რეაგირებას.

ბავშვის მშობლები მისი მოტივირებისა და დახმარების სწორუპოვარ წყაროს წარმოადგენენ. ამ ასაკის ბავშვებს მათი მიღწევების წარმოჩენისა და ქების მოსმენის დაუძლეველი სურვილი ამოძრავებთ. ამიტომ მნიშვნელოვანია, მშობლებმა იცოდნენ, რას და რა მეთოდით ვასწავლით მათ შვილებს. ამ მიზნით შეგვიძლია ღია გაკვეთილებიც ჩავატაროთ, ანდა მოსწავლეებს პატარა საჩვენებელი სკეტჩები დავადგმევინოთ, რომ მშობლების ქება დაიმსახურონ. კარგი იქნება, თუ ყოველი ციკლის ბოლოს წარმოდგენილ დამატებით მასალას მათ სწორედ მშობლები გაამეორებინებენ, მაგრამ შეცდომების დაშვების შემთხვევაში ბავშვებს მკაცრად არ მიუდგებიან.

რაც შეეხება გაკვეთილის დაგეგმვას, თითოეული გაკვეთილი სრულყოფილი ერთეულის სახით უნდა დაიგეგმოს და სამ ძირითად ნაწილს უნდა მოიცავდეს: **შესავალს, პრეზენტაციასა და დასასრულს.**

* **შესავალი:** ყოველი გაკვეთილის დასაწყისისას უნდა ითქვას გამარჯობა (hello) და გამოვიკითხოთ, თუ კლასში ვინ რა განწყობაზეა (How are you today?), როგორი ამინდია, რა დღეა და ა.შ. რათა მოხდეს სიტუაციის განმუხტვა, რაც უკვე ადვილად შეგვაძლებინებს წინა გაკვეთილზე ნასწავლი მასალის გამეორებასა თუ დავალების გამოკითხვაზე უმტკივნეულოდ გადასვლას.

* **პრეზენტაცია:** გაკვეთილის „პრეზენტაციად“ წოდებული ძირითადი ნაწილი მოსწავლეებს ახალ ლექსიკურ ერთეულებსა თუ გრამატიკულ სტრუქტურებს აცნობს. თითო გაკვეთილზე ხუთ ან ექვს ახალ სიტყვაზე მეტის შემოტანა რეკომენდებული არ არის. თანაც ახალი ერთეულები, როგორც ითქვა, უკვე ნასწავლ სტრუქტურებში უნდა ჩავსვათ. არც ერთზე მეტი გრამატიკული სტრუქტურის შემოტანაა რეკომენდებული (მაგალითად, ერთ გაკვეთილზე უნდა დამუშავდეს მხოლოდ I've got სტრუქტურა). ახალი ერთეულებისა თუ სტრუქტურების შემოტანის შემდეგ მოსწავლეები ამ სტრუქტურების გამყარებაზე სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებით უნდა ვავარჯიშოთ.

* **დასასრული:** გაკვეთილის ბოლოსკენ მოსწავლეებს კიდევ ერთხელ უნდა გამოვკითხოთ ახსნილი მასალა და მივცეთ დამოუკიდებელი პრაქტიკული სამუშაო. თითოეული საკლასო აქტივობა 5-6 წუთზე მეტხანს არ უნდა გაგრძელდეს და აუცილებლად უნდა შეიცავდეს ფიზიკურ აქტივობას. ამ ასაკის ბავშვებს მოძრაობის ძლიერი მოთხოვნილება აქვთ და კლასში არეულობა რომ არ შეიქმნას, მათ ამის საშუალება თავად უნდა მივცეთ. თუ შევნიშნეთ, რომ ბავშვებს რომელიმე აქტივობა მობეზრდათ, სავალდებულო არ არის მისი დასრულება; შეგვიძლია პირდაპირ გადავინაცვლოთ მომდევნო აქტივობაზე. გისურვებთ წარმატებებს კოლეგებო.

მანანა გუმბერიძე,
მე-10 საჯარო სკოლის ინგლისური ენის წამყვანი პედაგოგი.

დედის დღეს და გაზაფხულს გილოცავთ, 170-ე ბაგა-ბაღელებო!

მდიდარი ტრადიციებისაა და მუდამ მოწინავეა

თბილისში, შანიძის ქუჩაზე, 170-ე ბაგა-ბაღის ეზოში შეხვალთ თუ არა, თითქოს მწვანე ნარგავებით დატვირთულ საოცრებათა სამყაროში მოხვდით, დედებისა და შვილების უზარმაზარი მონუმენტი კი მიგახვედრებთ, რომ აქ, ცეროდენები სახლობენ. ჩვენდა საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებიც სკოლამდელი ასაკის ბავშვთა განათლებაზე ზრუნავენ და ამ სფეროს განვითარებისთვის ხელშეწყობა მათთვის პრიორიტეტულია. დაახლოებით, 60 წლის წინათ ეს ულამაზესი ტერიტორია, რომელიც ძველი დენდროლოგიური პარკის გაგრძელება იყო და შენობა, ბავშვებს საჩუქრად გადასცა კომუნისტური პარტიის ცეკას იმჟამინდელმა მდივანმა, ხალხისთვის მზრუნველმა **ვასილ მჟავანაძემ** და აქ საბავშვო ბაღი გაიხსნა. მას შემდეგ ამ ბაღის სათავეში ყოველთვის ღირსეული ხელმძღვანელი იდგა, ნიჭიერი, გამოცდილი, შრომისმოყვარე აღმზრდელები, შემოქმედებითი თუ ტექნიკური პერსონალი მოღვაწეობდნენ. როგორც ბაღის დირექტორმა **ქეთევან დვალიშვილმა** აღნიშნა, მისი წინამორბედი დირექტორები **იზა კობერიძე**, **ნინო მელაძე** საქმის ერთგული ადამიანები იყვნენ და თავის საკეთებელს ღირსეულად აკეთებდნენ. საოცარი სითბოთი მოიხსენიებენ აგრეთვე, სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიური სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს, სახელმძღვანელოების ავტორს, მეთოდისტს **ნელი კეპულაძეს.**

ქეთევან დვალიშვილი ლიტერატორია, ამ ბაღში უმაღლესი სკოლიდან მოვიდა. წარმატებით გაიარა ბაღების დირექტორების შესარჩევი კონკურსი და მე-11 წელია აღსაზრდელთა და მშობელთა საიმედო დასაყრდენია. ბავშვებისთვის საოცრად თბილი გარემოს შექმნასა და კეთილდღეობისთვის ზრუნვაში დიდი წვლილი შეაქვთ: დირექტორის მოადგილე **მარიამ ჭიპაშვილს**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს **თამარ ლომიძეს**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორს **ლილი ძივძივაძეს**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორს **ნელი რაზმაძეს**, საქმისმწარმოებლებს - **ზურაბ გორდელაძესა** და **ნანა მუსელიანს**.

აქ დღესაც შეხვდებით ძველი თაობის პედაგოგებს, თუმცა ახალგაზრდა, ნოვატორებიც იწონებენ თავს. **თამარ ლომიძე** — ყოველდღიური აქტივობების დაგეგმვა, კოორდინაცია, მასალაზე ზრუნვა, შემაჯამებელი პროექტებისა და პრეზენტაციების მოწყობა; როგორც ცნობილია, განათლების მინისტრის ახალი დადგენილებით, აღმზრდელებმა 66 საათიანი მოდული უნდა გაიარონ და აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი მიიღონ. თამარი უკვე ამ სტატუსის მფლობელია და დასახული აქვს 6 თვიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც აღმზრდელებთან სამუშაო შეხვედრებს აწყობს.

როგორც **ქეთევან დვალიშვილი** მიიჩნევს, ინკლუზიური განათლების პროგრამის შემოტანა და დანერგვა წარმატებით განახორციელეს, პირველი საპილოტე ჯგუფი კი 2007 წელს გაკეთდა. ახალგაზრდა, ნიჭიერი სპეც. პედაგოგი **მაია აფხაზიშვილი** ამ ბავშვთა სოციალიზაციას, ინტეგრაციას ახდენს და თითოეულ მათგანზე ინდივიდუალური განვითარების გეგმას აწარმოებს. ამჟამად ბაღში 12 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი ჰყავთ, რომლებიც, ინკლუზიური განათლების ფარგლებში, ჩართულები არიან ჩვეულებრივ ჯგუფებში.

ბაღში ფუნქციონირებს მულტიდისციპლინარული გუნდი — ფსიქოლოგი **ლია დვალიშვილი,** მეთოდისტი **თამარ ლომიძე**, ლოგოპედი **ნატალია კალანდარია**, რომლის მუშაობაშიც აქტიურად არიან ჩართულები ბავშვების მშობლები. ხორციელდება მულტიგუნდის შეხვედრები წელიწადში სამჯერ, წლის დასაწყისში, სემესტრისა და წლის ბოლოს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში. მშობელთან ერთად ხდება გრძელვადიანი მიზნების დასახვა, მიზნის მიღწევის სტრატეგიის განსაზღვრა და აქტიური მუშაობა, იმისათვის, რომ ეს ბავშვები ჯგუფის სრულუფლებიანი წევრები გახდნენ.

ბაღში 5 სასკოლო მზაობის ჯგუფია: ყველას თავისი სახელწოდება აქვს: **„წითელქუდა“** — აღმზრდელები **დარიკო მოდებაძე** და **ეკატერინე აბურჯანია**; **„მერცხალი“** — **თამარ ლაფერიშვილი**; ,,**ცისარტყელა**“— **დარეჯან ბერაძე**; ,,**ნერგები**“— **მაყვალა შერაზადიშვილი**; **„მზე“** (შერეული ჯგუფი)— **ანტონინა თუმანიშვილი**; სადაც თემიდან გამომდინარე აქტივობები და პროექტები იგეგმება. მაგალითად, თემა ,,**ვინ წერს წიგნებს**,“ რომელიც აღმზრდელმა **თამარ ლაფერიშვილმა** ასეთი სახით მიანოდა პატარებს — ,,**გზა პაპირუსიდან ფურცლამდე**“, ხოლო აღმზრდელმა **დარეჯან მოდებაძემ** — როგორ იქმნება წიგნი, ვინ არიან ჩვენთვის ნაცნობი პოეტები და მწერლები; საინტერესო პროექტები წარმოადგინეს ასევე აღმზრდელებმა — **მაყვალა შერაზადიშვილმა** და **დარეჯან ბერაძემ** — ,,**წყლის წვეთის მოგზაურობა**.“

ნორჩების შემეცნებითი უნარების განვითარებას, ესთეტიკურ აღზრდასა და მათი ინტერესების სფეროს გაფართოვებას, კარგად უძღვებიან აღმზრდელები: **მანანა გლოველი, ეკატერინე ნანეიშვილი, მაყვალა შიოშვილი, ნანა ბუკია, მედეა ბიბილეიშვილი, თამილა გოჩიტაშვილი, სოფიო თევზაძე, თამარ ყიფშიძე, თეონა გაგოშვილი, სოფიო მარკოზია, ნანული აბრამიშვილი, ნათია მელიქიშვილი;**

თვალსაჩინოებებითა და სათამაშოებით გაჯერებულ ჯგუფებში, აღმზრდელებთან ერთად, პატარებს სითბოსა და ალერსს არ აკლებენ აღმზრდელის თანაშემწეები: **ლალი ბუხრაშვილი, ლალი გეგეშიძე, ლეილა გოცირიძე, ეთერ კურტანიძე, მაყვალა ირემაძე, ლანა ლაფერიშვილი, ციალა ფალავანდიშვილი, ნინო აბრამიშვილი, ვერა აბრამიძე, ნონა გოგოლაძე, ციცინო წიკლაური, ნონა ლიპარიშვილი, ფატი მოდებაძე, იამზე წულაია, თამარ ფალავანდიშვილი;**

ცუგრუმელების სულის სიფაქიზესა და ხელოვნების სიყვარულზე ზრუნავენ მუსიკის პედაგოგები — **თამარ ნახუცრიშვილი, მარიამ გუგუშვილი, ლია ჩიხლაძე** და ცეკვის პედაგოგი **მზია კანდელაკი**;

ბაღების სააგენტოდან შედგენილ მენიუს ყოველდღიურად ეცნობიან მშობლები. მზარეული **ნატალია ბერუაშვილი**, მზარეულის დამხმარეები — **ლამარა ქამუშაძე, ნანული ლომიძე**, პატარებს გემრიელი კერძებით უმასპინძლდებიან;

ბაგა-ბაღის სისუფთავეზე, დაცულობასა და ეზო-გარემოს მოვლა-პატრონობაზე ზრუნავს ტექნიკური პერსონალი: **რუსუდან ჩილინდრიშვილი, იამზე კაპანაძე, ხათუნა ჯოხაძე, მარინა მითაგვარია, მაია ლომსაძე, გია კასაბური, თენგიზ ჯახველაძე, ჯონი გეფერიძე**.

ბავშვებამდე სწორად მიტანილი აღზრდის მეთოდებისა და კოლექტივის შემოქმედებითი ფანტაზიის წყალობით, აქ ცხოვრება ხალისიანად მიდის. ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ გაითვალისწინა ქალბატონი ქეთევანის თხოვნა და ზაფხულში ბაღის გამაგრებითი სამუშაოები ჩატარდება. იმედი გვაქვს, სამომავლოდ, აღდგენა-რესტავრაციის საკითხიც გადაწყდება.

ნათია გურგენიძე

„ონავრები“ – დიდი ცხოვრების საწყისი

„ბევრი ბაგიში ვიყავი მაგრამ 91 ნომერი ბაგი მომოშავე პირსონალი და დირექტორი ნანი ჯანელიძე ყველაზე საუკეთესოი შაზადა კალიმ აჰმად
8/2/019
პაკისტანი ხარ“

გრძნობთ, რაოდენი გულის სითბო, სიალალეა ჩაქსოვილი ამ ვაი-ქართულში? შაზადას 91-ე ბაგა-ბაღში ხანძარსაწინააღმდეგო კაბელები გაჰყავდა. რაოდენ უნდა მოხიბლულიყო აქაურთა გულისხმიერებით პაკისტანელი მუშაკაცი, რომ ბაღის ოფიციალური ბლანკი ეთხოვა და ზემოხსენებული ტექსტით შეევსო.

გულისხმიერება, სითბო, უშუალობა ამ ბაგა-ბაღის სადარბაზო ბარათია.

ცხადია, ეს სათუთი გრძნობები უპირველესად აღსაზრდელებისკენაა მიმართული, მაგრამ პედაგოგთა მრწამსი ზოგადად მოყვასის სიყვარულისკენაცაა მიმართული, რასაც აღსაზრდელებსაც აზიარებენ. თუ ბავშვებად არ გარდაიქმნებით, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველშიო, გვმოძღვრავს უფალი და პედაგოგები ცდილობენ თავადაც გაბავშვდნენ, პატარების თვალით შეხედონ სამყაროს და ასე გაითავისონ მათი სიხარული და წუხილი, ერთდროულად აღმზრდელებიც იყვნენ და მეგობრებიც. ბავშვები ხომ პატარა ადამიანები არიან, ვისაც ჩვენზე ნაკლები ცოდნა და გამოცდილება აქვთ.

სწორედ ასე უყურებენ, ასე ზრდიან, ასე აზიარებენ ადამიანურობის მადლს 215-ვე პატარას აღმზრდელები: **მარინა ციცქიშვილი, ჟანა სტეფლიანი, ქეთევან კოპაძე, თამარ გულედანი, ლალი წურწუმია, რიმა ჩხეტიანი, თინათინ კახოშვილი, მაია როსტიაშვილი, ხათუნა მაჩაბერიძე;** მათი თანაშემწეები: **მაია ნათენაძე, მზია მელიქიძე, დონარა ვეფხვაძე, ნანა კვირკველია, კარინა ეგიანი, მაია ზვიადაური, გურანდა ჩიკორია.** მუსიკისა და ცეკვის ჯადოსნურ სამყაროში თანდათან შეჰყავთ ნორჩები მუსიკისა და ცეკვის პედაგოგებს: **ელისო დემეტრაშვილსა** და **ანა აბულაძეს;** ფსიქოლოგ **ირმა მუჯირის,** ლოგოპედ **ნანა დურგლიშვილის,** სპეციალური პედაგოგების: **მაია ნამორაძისა** და **ნანა ჩახვაშვილის** მუშაობა არათუ სპეციალური საჭიროების მქონე აღსაზრდელებს, არამედ, საჭიროებისამებრ, ზოგადად პატარებს მოიცავს, რაც ცხოვლად ატყვია აღსაზრდელთა უნარჩვევებს. ყმაწვილების ჯანმრთელობის სადარაჯოზეა ექთანი **იამზე სიმონიშვილი.**

გმოსარჩევი და დასაფასებელია ბაგა-ბაღის ყოველი მუშაკი, რადგან წარმატებებში ყოველი მათგანის წვლილია: საქმისმწარმოებელ **თეა ტეიძის,** ჭურჭლის მრეცხავების: **დალი კაპანაძის, ლონდა ფეიქრიშვილისა** და **მარიამ თედიაშვილის;** დამლაგლებლების: **ტატიანა რეშეტოვასა** და **ლეილა წამალაშვილის.**

უნარიანად, შემოქმედებითად, კოლეგიალურად მუშაობენ კოლექტივთან დირექტორის მოადგილე **მეგი ბარბაქაძე** და მეთოდისტი **მაია მდივანი.**

წლების მანძილზე გვიჭედავდნენ თავში ისტორიის წარმართველი ძალა მასაააო. ყოველმხრივ კნინდებოდა, იჩქმალებოდა პიროვნების როლი. არადა, ისტორია საპირისპიროს ცხადყოფს. ხომ ცხადია, თუ სათავე წმინდაა, წყაროც ანკარა მიედინება.

91-ე ბაგა-ბაღს მრავალნაცადი და გამოცდილი სპეციალისტი, მრწამსით პედაგოგი, ქალბატონი **ნანი ჯანელიძე** უდგას სათავეში.

მან ჯერ ქუთაისში შეიძინა ბაგა-ბაღების აღმზრდელისა და სამედიცინო დის სპეციალობები, შემდეგ თბილისის მეორე მუსიკალური ტექნიკუმი დაამთავრა, დაბოლოს, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია ვოკალის (საოპერო) სპეციალობით.

მუსიკის მასწავლებლად მუშაობდა მე-100 სკოლაში. წლის საუკეთესო მასწავლებლის ნოდება დაიმსახურა და ძველი სპეციალობა „გაუხსენეს“ – 90-ე ბაგა-ბაღის დირექტორად დანიშნეს (1994 წ.). მერე კი... ვინ დაგიდევდა ცოდნას, გამოცდილებასა თუ გულის სითბოს?! სააკაშვილის ხროვამ, სხვა ბევრ „სიკეთესთან“ ერთად, 19 ბაგა-ბაღის დირექტორებიც გამოყარა სამსახურიდან... განსხვავებული აზრისათვის. დაიწყო „გოლგოთის“ – სამართლისა და სამართლიანობის ფუჭი ძებნის შვიდწეული. ცინიკური პასუხები – წადით, გზას ბარაქა დააყარეთ, რა დაგიკარგავთ, რას ეძებთო.

შეიცვალა ხელისუფლება. სამართალმა პური ჭამა, მაგრამ 19 დირექტორიდან ყველა ვერ მოესწრო ამას – ზოგი დიაბეტით დაავადდა, ზოგიც ნერვიულობამ იმსხვერპლა.

ქალბატონი ნანი სრულიად სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამს: ახლა ბაგა-ბაღის 2 დირექტორს რომ შეეხნენ და პარლამენტი (ნაციონალები) თუ ჟურნალისტები პირზე ქაფმომდგარნი იცავენ მათ, მაშინ, ასე უბოდიშოდ რომ გამოგვყარეს ქუჩაში, რატომ ჰქონდათ პირში წყალი ჩაგუბებულიო.

იმიტომ, ქალბატონო ნანი, რომ მაშინაც და ახლაც ე. წ. პარლამენტარები იყვნენ და არიან და ასეთივე ჟურნალისტები, საკუთარი ჯიბისა და ხელისუფლების მონები!

39-ე ბაგა-ბაღის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს. სამიოდ წლის წინათ კი 91-ე ბაგა-ბაღს ჩაუდგა სათავეში. მოვუსმინოთ მას.

ნანი ჯანელიძე: „ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. არის ხარვეზები, უკვე მივმართეთ ბაგა-ბაღების სააგენტოს და ძალზე მალე ყველაფერი რიგზე იქნება. აქვე აღვნიშნავ: არაჩვეულებრივი დამოკიდებულება, ურთიერთობაა ამ სააგენტოსთან, უშუალოდ მის ხელმძღვანელ ბატონ **კახაბერ გვანცელაძესთან**. მარტო ის რადა ღირს, რომ ბიუჯეტი დროულად გვიმტკიცდება და თანხების გაცილებით თავისუფლად გამოყენების საშუალება მოგვეცა. აღარც სააგენტოში

გვარბენინებენ წარამარა და აღარც ჩხუბითა და დავიდარაბით გვამოწმებენ. ახლა შემმოწმებლებიც კეთილგანწყობით მოდიან. ხომ ერთი საზრუნავი გვაქვს – რაც შეიძლება უკეთესი პირობები ბავშვების სწორად აღზრდისათვის. კვება დიდებულია, პროდუქტები – ნატურალური. სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამით გათვალისწინებული ყველა თემა, აქტივობა, პირობა სრულდება. სრულდება ბავშვების ასაკის, ფიზიკურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით. ძალზე კარგი იქნებოდა, ყველა ბაგა-ბაღს ჩვენი სპეციფიკის მიხედვით აღჭურვილი სპორტული დარბაზები რომ ჰქონდეს. პროგრამული დროიდან მეტს დავუთმობდი ხელოვნებას – სიმღერას, ცეკვას, მუსიკას მოძრავ თამაშობებს; ბავშვებს ხომ სულ მოძრაობა სურთ. ჯანმრთელობა – ჯანმრთელობად და ასე ურთიერთგატანას, თანადგომასაც სწავლობენ. ხელოვნება კი როგორ აფაქიზებს სულს, მოგეხსენებათ.

ბუნებით ხალისიანი, მხიარული ვარ. მჯერა, ბავშვებთან სწორედ ასეთი ბუნების მქონეებმა უნდა იმუშაონ, ლაღად აღზარდონ პატარები. აბა, რას ემსგავსება, მოდის პატარა ბაღში და მოღუშულ-დაღვრემილ სახეებს ხედავს. ხომ დაფრთხა, საკუთარ თავში ჩაიკეტა, აღარ გენდობა.

დაბოლოს, აუცილებლად უნდა გამოვკვეთო ჩვენი რაიონის გამგეობის, პირადად გამგებლის – ქალბატონ **ირმა ზავრადაშვილის** განუხრელი ყურადღება და ზრუნვა. ხომ არაფერი გიჭირთ? ასე მეკითხება ყოველ ჩემს ზარზე და საკითხს ვინმეს კი არ გადააბარებს, თავად წყვეტს ოპერატიულად და ხარისხიანად.

ვისურვებდი, მეტი შემართებით გვემუშავა სამშობლოსათვის სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, კაცთმოყვარე, პატრიოტი თაობების აღსაზრდელად. ხომ სწორედ ბაგა-ბაღებში ეყრება საფუძველი, ცხადია, ოჯახებთან ერთად, ყმაწვილების ფსიქოტიპს, რაც, ხშირად, მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვებათ.“

91-ე ბაგა-ბაღს „ონავრები“ ჰქვია, რაც ცელქს, ანცს ნიშნავს. ზუსტად მორგებული სახელია ამ მართლაც ონავრებისთვის, რისი წარმოთქმისასაც პირზე ღიმილი მეფინება და თვალებში სითბო მიდგება. მით უფრო დიდია ბაღის მთელი კოლექტივის გულის სითბო, რასაც მთლიანად ახმარენ აღსაზრდელებს.

კონსტანტინე გურგენიძე

P.S. ქალბატონ ნანის მეუღლე, ვაჟიშვილი და ორი შვილიშვილი – 24 და 25 წლის ქალ-ვაჟი ჰყავს. შვილი, რძალი და შვილიშვილები ჰოლანდიის მოქალაქეები არიან. რას იზამ, ესეც დრომ მოიტანა. მათს მონატრებას ესენი მიმსუბუქებენ, ამ პატარების გარეშე ძალზე გამიჭირდებოდა, ეს ონავრები ჩემი ცხოვრება და სულის მალამოაო, ამბობს ქალბატონი ნანი.

მრავალ გაზაფხულს დაესწარით 136-ე ბაღელებო!

დედაზე არანაკლებ ზრუნავენ

იქ, სადაც საქმისადმი დიდი სიყვარული და პასუხისმგებლობაა, უმნიშვნელოვანესი წარმატებაც გარანტირებულია. სწორედ, ასეა თბილისის 136-ე ბაგა-ბაღში. აქ თითოეული თანამშრომელი დიდი რუდუნებით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას და ამიტომაც არის ეს საბავშვო დაწესებულება პრესტიჟული და ვაზისუბნის მე-3 მ/რ მშვენება. ბაგა-ბაღის იერ-სახე ლამაზად და მომხიბვლელად გამოიყურება და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესიც შესანიშნავად მიმდინარეობს. ყველაზე მეტად თვალშისაცემია დირექტორისა და თანამშრომლების ურთიერთპატივისცემა, რაც დადებითად აისახება ბაღის მუშაობაზეც. მაღალკვალიფიციური და საქმისადმი თავდადებული კოლექტივი გუნდური პრინციპით მუშაობს, ერთმანეთზე ზრუნავენ და პატარებს სიყვარულსა და სითბოს არ აკლებენ. აქ მშობელთა ინტერესებს მაქსიმალურად ითვალისწინებენ და მათი ჩართულობა უმნიშვნელოვანესია.

ბაღის დირექტორი **ნინო ყაველაშვილი** შესანიშნავი მენეჯერია. იგი პროფესიით და მოწოდებითაც პედაგოგია, კარგად ესმის ბავშვის ფსიქოლოგია და სკოლამდელი აღზრდის სისტემა. ქალბატონი ნინო სამი წელიწადია ბაღს ხელმძღვანელობს, თუმცა მანამდე დირექტორის მოადგილის პოზიციას იკავებდა. თავისი გულწრფელი ხასიათით თითოეულ თანამშრომელთან მეგობრული დამოკიდებულება აქვს და ბავშვებიც სიხარულს გამოხატავენ მის დანახვაზე.

ნინო ყაველაშვილი: ძალიან გვიყვარს ბავშვები და სათუთად ვეპყრობით თითოეულ მათგანს. საბავშვო ბაღი ისეთი დაწესებულებაა, სადაც გულგრილი ვერ იქნები, უნდა გიყვარდეს შენი საქმე და მაქსიმალურად სითბოს უნდა გასცემდე. სწორედ ასეთი კოლექტივი მყავს, რომლებიც მხარში მიდგანან და დედასავით ზრუნავენ აღსაზრდელებზე. ამიტომაც ჩვენი საქმიანობა ნაყოფიერია და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესიც მშვენივრად მიმდინარეობს. ბაღში სულ 465 ბავშვია და 12 ჯგუფია, სამი ჯგუფი **„სასკოლო მზაობის“** პროგრამაშია ჩართული. მიხარია, რომ ჩვენი გამოსაშვები ჯგუფის 122 აღსაზრდელი კარგად მომზადებულები არიან და შესანიშნავად იციან პროგრამა. თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, ბაღს აქვს ყველა საჭირო სათამაშო და შემეცნებითი ლიტერატურა. ასე რომ, ნიჭიერ თვალხატულა გოგო-ბიჭებს ზეიმით გავაცილებთ სკოლაში. ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში დამონტაჟდა პანდუსები, სააღმზრდელო ჯგუფებში შეიცვალა ინვენტარი, ავეჯი, ლიტერატურა, შევიძინეთ დურალექსის ჭურჭელი. სამზიტეტებიც მიზანმიმართულად განისაზღვრა. ახლა უკვე შესაძლებელია შიდა რესურსებით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდეს. რაც შეეხება კვებას, იგი მართლაც შესანიშნავია. ბაღს მოეწოდება ახალი, ხარისხიანი და შემოწმებული პროდუქტები. მენიუ სწორად არის შედგენილი რეულო აბსოლუტურად განახლდა, აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით და ყველა საჭირო ნივთებით. სამი ბაგის ჯგუფში, სველი წერტილები მოწესრიგდა ბავშვის სიმაღლის შესაბამისად. ეზოს რაც შეეხება, იგი რეკონსტრუქციას მოითხოვს. სამომავლოდ, თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** დახმარებით გათვალისწინებულია სპორტული მოედნის მოწყობა, ფანჩატურის და სკამების დამონტაჟება. მიხარია, რომ ბაღის დაფინანსება გაიზარდა და გამჭვირვალე გახდა. სწორი მენეჯმენტის გათვალისწინებით, პრიორიტეტებიც მიზანმიმართულად განისაზღვრა. ახლა უკვე შესაძლებელია შიდა რესურსებით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდეს. რაც შეეხება კვებას, იგი მართლაც შესანიშნავია. ბაღს

და პატარებიც მიეჩვივნენ ჯანსაღ კვებას. ამიტომაც, მშობლებიც კმაყოფილები არიან.

აღსანიშნავია, რომ ბაგა-ბაღში აღსაზრდელებს მზრუნველობას არ აკლებენ კვალიფიციური აღმზრდელები. აქ მაღალ დონეზეა მულტიდისციპლინარული ჯგუფის საქმიანობა. კოორდინირებულად მუშაობენ საგანმანათლებლო პროგრამების **კოორდინატორი ნინო ჭიჭინაძე,** ფსიქოლოგი **ქეთევან ჩიქოვანი,** ლოგოპედი **მაია გოგოლაძე,** ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **მარიამ დალაქიშვილი**. სპეც. პედაგოგები **ეთერ ნასყიდაშვილი** და **მარიამ ქონიაშვილი.** მეთოდისტმა მასწავლებელთა სახლში სპეციალური ტრენინგი გაიარა, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში გაწერილი პროგრამით მუშაობს აღმზრდელებთან.

136-ე ბაგა- ბაღში სადღესასწავლო ღონისძიებები, ღია მეცადინეობები და სხვადასხვა აქტივობები ხშირად იმართება. მაგალითად, შესანიშნავად ჩაატარეს საშემოდგომო ზეიმი, საახალწლო კარნავალი, **„დედის დღე“** და გაზაფხულის მოსვლა. უახლოეს მომავალში დაგეგმილია **„მხიარული სტარტები“**, სადაც მშობლებიც მონაწილეობენ. პატარებს ძალიან მოსწონთ და ახარებთ თამაშებში მამების ჩართულობა.

დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს ბაღის კოლექტივის საქმიანობას. მთავარი მაინც ის არის, რომ მშობლები კმაყოფილები არიან ბაგა-ბაღით, დირექტორ **ნინო ყაველაშვილით** და ყველა თანამშრომლით. დედის დღეს და გაზაფხულს გილოცავთ, 136-ე ბაღელებო!

მზია გოგოძე

36-ე ბაგა-ბაღის წლიური ანგარიში

პრეზენტაცია პატარებმა გაალამაზეს



დედაქალაქის ბაგა-ბაღების სააგენტოს ინიციატივით, თბილისის სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებებში გასულ წელს გაწეული საქმიანობის პრეზენტაცია გაიმართა. წლიური ანგარიშის წარდგინება მოეწყო 36-ე ბაგა-ბაღშიც, სადაც დირექტორმა **მარინა მაჭარაშვილმა** მშობლებსა და მოწვეულ სტუმრებს განხორციელებული პროექტები წარუდგინა და აღნიშნა, რომ ბავშვთა განვითარებებისთვის უმნიშვნელოვანესია მშობელთა ინფორმირებულობა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობა.

პრეზენტაცია პატარებმა გაალამაზეს და მოწვეულ სტუმრებს თავიანთი შემოქმედებით მოაწონეს თავი. აღსაზრდელების მიერ წარმოდგენილმა მხიარულმა თამაშებმა, ცეკვა ,,ტანგო''-მ, გასართობმა პროგრამამ, მარაოების, ბურთებისა და ლენტების შოუმ დიდი მოწონება და ოვაციები დაიმსახურა. ონავრების მხიარულება და საზეიმო განწყობა უფროსებისთვისაც გადამდები იყო. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მოდების ჩვენება, სადაც ნიკოლას და გეგას კოლექცია წარმოგვიდგინეს. პოდიუმზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მოდურად შემოსილი აღსაზრდელები და მოხდენილად გვაცნობდნენ მოდის სიახლეებს.

შოუ-პროგრამის მონაწილეები იყვნენ **,,სასკოლო მზაობის''** და 3-4 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელები.

პრეზენტაციაზე, **მარინა მაჭარაშვილმა** მადლობა გადაუხადა მშობლებს თანადგომისთვის, ისაუბრა ჩატარებულ სამუშაოებზე და მოკლედ მიმოიხილა განხორციელებული პროექტები. ასევე, წარმოადგინა ფოტო-მასალა, სადაც ნათლად იყო ასახული ბაგა-ბაღში არსებული სიტუაცია და მუშაობის შედეგი. ბაგა-ბაღების სააგენტო ფინანსური დახმარებით და დირექტორის ძალისხმევით, ბაღში მოწესრიგდა მეთოდ-კაბინეტები, საბავშვო ოთახები,სამზარეულო, განახლდა ინვენტარი, სასწავლო ლიტერატურა, დამონტაჟდა უსაფრთხოების ბადეები და ა.შ. ბაღში დიდი ყურადღება ექცევა ინკლუზიურ განათლებას, ჯანდაცვას, ჰიგიენას და პატარების უსაფრთხოებას. ასევე აღინიშნა ორგანიზაცია **,,Heart''**-ის მხარდაჭერა და თანამშრომლობა, სადაც აღმზრდელებმა გაიარეს სპეციალური პროგრამის კურსი და ბაღს საჩუქრად გადაეცა საკანცელარიო მასალა... ბაგა-ბაღების სააგენტოს მეშვეობით კი, გადამზადდა მეთოდისტი, რომელმაც შემდეგ შიდა გადამზადება განახორციელა. ასევე, ,იგეგმება ბაღის თანამშრომლების გადამზადება მასწავლებელთა სახლის მიერ.

მარი მაჭარაშვილი ბაღს უკვე სამი წელიწადია ხელმძღვანელობს და საკმაოდ წარმატებით. მისი სურვილია, ბაღში მუშაობის პერიოდი **„ოქროს ხანა“** იყოს პატარებისთვის და ამისთვის ძალ-ღონეს არ იშურებს. ქალბატონი მარის ინიციატივით, მრავალფეროვანი პროექტები განხორციელდა და თითქმის ყველა აქტივობაშია ჩართული. აქ ხშირად იმართება სხვადასხვა შემოქმედებითი ღონისძიებები და სპორტული აქტივობები.

აღინიშნა **„დაუნის სინდრომის დღე“, „ყვავილების ფესტივალი“, „წიგნის საჯარო კითხვის დღე“,** სეზონური ღონისძიებები და ა.შ. ცუგრუმელები ყოველ გაზაფხულზე თავიანთი ხელებით რგავენ მცენარეებს და შემდეგ უვლიან კიდეც.. 36-ე ბაგა-ბაღში ამჟამად ორი გამოსაშვები ჯგუფია, ხოლო 6 განსაკუთრებული საჭიროების აღსაზრდელია. დიდი ყურადღება ექცევა ინკლუზიურ განათლებას და პატარების უსაფრთხოებას. დირექტორს მხარში უდგას მთელი კოლექტივი, აღმზრდელები, ბავშვები ზრუნავენ ბაღის კეთილდღეობაზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დირექტორის მოადგილის **ირმა დანელიას** ღვაწლი, რომელიც თავისი საქმის პროფესიონალია და დიდი ხანია ამ სფეროში მოღვაწეობს.

პრეზენტაციაზე ასევე, ისაუბრეს სამომავლო გეგმებსა და პრიორიტეტებზე. სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით დაგეგმილია **საკანალიზაციო სისტემის, ეზოს, სპორტული და სათამაშო მოედნების კეთილმოწყობა;** აგრეთვე, **არსებული ქვის კედლის განახლება.**

„ სასკოლო მზაობის“ პროგრამა წარმატებით განხორციელდა და ბაღის აღსაზრდელები სკოლისთვის კარგად არიან მომზადებულები. ბაღში გატარებული წლები კი, სასიამოვნო, ტკბილ მოგონებად დარჩებათ ცეროდენებს.

ანანო სამელია

თანამედროვე პაროდიები დასავლეთუმე ქართველთა სიმღერა

რუსთაველის ხმაზე: „სჯობს დოლარისა მოხვეჭა,
ყოველსა მოსახვეჭელსა“.
„ამერიკული დოლარი მირჩევნია სულსა გულსა.“
ბარათაშვილის ხმაზე: „რის ქართველობა, რა ქართველობა,
ვითომ რას მავნებს ინგლისელობა“?
რაფიელ ერისთავის ხმაზე: „მე მირჩევნია მამულსა
ინგლისი დოლარიანი“.

***

რუსეთუმეს ნატვრა

არ თქვა პოლიტიკოსმა მიუხვედრელ-უტვინომ?
ნეტავ, აფხაზეთ-ოსეთი დაგვიბრუნოს პუტინმა!

***

ვინ არის?

გვყავდა ერთი უწვერული განათლების მინისტრი
განათლების მისაღებად გააგზავნეს ინგლისში.
ახლა წვერიანია და შეიცვალა ამპლუა
ეკრანიდან სულ გვაგინებს, რომ გვასწავლოს ჩვენ ჭკუა.

ნაირ-ნაირი

გამაგონე ეგ ხმა ტკბილი, წამალთა ფასდაკლებისა.

***

აღარ მყოფნის უცხო გრანტი,
მიტომ გავხდი ემიგრანტი.

ვისია საქართველო?

ორ ზღვას შუა ძველისძველად საომარი იყო ლელო,
ქვეყნიდან თუ გავიქცევით, ვის დარჩება საქართველო?

***

წყევლა-კრულვიანი საკითხავი

„დედაენის“ ძეგლი პარკში – კი დგას, მაგრამ ჩვენი წყენა:
პირველ კლასში რატომ გაქრა იაკობის „დედაენა“?

მოსე მწერალი

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N4 (4579)
13 მარტი / 2019 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009